



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 21.01.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი 16.03.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	„საქართველოს უნივერსიტეტი“ შპს
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 0413
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ქარცივაძე, იმედი L, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა მიხელიძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველოს უნივერსიტეტში ხორციელდება ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, რომლის მიზანია მოამზადოს თანამედროვე ბიზნეს-გარემოზე, მის ცვალებად და მზარდ მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიონალი, კერძოდ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ბიზნესის მართვის სხვადასხვა ფუნქციონალური მიმართულებებით, რომელიც ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი სპეციალისტების მომზადებაზე მენეჯერული უნარ ჩვევებით აღჭურვილი. პროგრამა საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც ხელ შეუწყობს კურსდამთავრებულს დასაქმდეს, როგორც საშუალო, ასევე ზედა რგოლში ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებში. პროგრამის მიზნები სრულიად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

სამაგისტრო პროგრამა აგებულია შემდეგი პრინციპით: ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები 72 კრედიტით განისაზღვრება, 48 კრედიტით განისაზღვრება არჩევითი კომპონენტები. ძირითადი სფეროს სასწავლო კურსებია: ფინანსური აღრიცხვა, მარკეტინგის მენეჯმენტი, მენეჯერული ეკონომიკა, პროექტების მენეჯმენტი, მმართველობითი აღრიცხვა, სტრატეგიული მენეჯმენტი, ბიზნეს კომუნიკაციები, სამაგისტრო ნაშრომი ბიზნესის მართვაში. ამას გარდა, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულია არჩევითი სახით შემდეგი სასწავლო კურსები: ბიზნეს სტატისტიკა, კვლევის მეთოდები, აკადემიური წერა და კვლევა. აქედან მაგისტრანტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს ერთი, ორი ან სამივე საგანი, რომელშიც ის თვლის, რომ სჭირდება მეტად გაძლიერება სამაგისტრო ნაშრომის მომზადების მიზნით ან კვლევითი უნარების გაძლიერების მიზნით. პროგრამა ასევე მოიცავს არჩევით ბლოკს, არჩევითი ბლოკი წარმოდგენილია საგნების ფართო სპექტრით. არჩევითი ბლოკი განისაზღვრება 30 კრედიტით.

სწავლების ბოლო სემესტრი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას, რომელიც პროგრამის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძლება დასაქმდნენ კერძო და საჯარო სექტორში მართვის სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროში წამყვან და საშუალო რგოლის მენეჯერულ პოზიციებზე. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლებისას იქმნება ყველა წინაპირობა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულმა სწავლა გააგრძელოს სადოქტორო საფეხურზე.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 21 იანვარს. ვიზიტამდე, 20 იანვარს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (დავით სიხარულიძე, ვასილ კიკუტაძე, დავით ქარცივაძე და ანა მიხელიძე). თითოეული

სტანდარტის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

21 იანვარს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10:00 საათიდან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები თითოეული სტანდარტის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ 21 იანვარს დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო ცენტრის მიერ შერჩეული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასწრება რის გამოც 24 იანვარს 10.00 საათზე ჯგუფი განმეორებით მივიდა დაწესებულებაში და შეხვდა პროგრამის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, სადაც 1.1 სრულ შესაბამისობაშია, ხოლო 1.2 კომპონენტები მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 2.2, 2.3 და 2.6 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

1. რეკომენდირებულია დაინტერესებული მხარეების, კერძოდ დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალისა და კურსდამთავრებულების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართვის გაძლიერება.
2. რეკომენდირებულია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურის პროგრამის სავალდებულო სასწავლო მოდულის გაძლიერება ისეთი სასწავლო კურსების დამატებით როგორცაა: „ოპერაციათა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი“, „კორპორაციათა ფინანსები“
3. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა დაზუსტდეს და მოვიდეს შესაბამისობაში სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომის დებულებაში არსებულ ჩანაწერთან; ასევე რეკომენდირებულია გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის მოცულობის შესახებ აღწერაში მითითებული უზუსტობები.
4. რეკომენდირებულია შეფასების სისტემის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებასთან.

5. რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომი შეთავაზებული იქნას სტუდენტებისთვის ინდივიდუალურ ფორმატში ან/და მეტად დაიხვეწოს შეფასების სისტემა ჯგუფში შემავალი თითოეული მაგისტრანტის ობიექტური შეფასების მიზნით.
6. რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის საინფორმაციო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის განახლება.
7. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქციაში მოცემული მოთხოვნებისა და დებულებაში მოცემულ მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია ზოგიერთ სილაბუსში არსებული ტექნიკური ხარვეზები აღმოფხვრა
2. სასურველია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს სტუდენტების გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში ჩართულობის გაზრდას.
3. სასურველია სწავლის შედეგების ფორმულირების დახვეწა და ბლუმის ტაქსონომიასთან დაახლოება.
4. სასურველია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს სწავლის მეთოდები და აქტივობები როგორც პროგრამაში, ასევე სილაბუსებში საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3 მუხლი 1¹ თ პუნქტის გათვალისწინებით.
5. სასურველია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვლევები ჩატარდეს ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, რაც მეტ ეფექტიანობას შესძენს აღნიშნულ პროცესს.
6. სასურველია უნივერსიტეტმა ხარისხის გარე შეფასების ერთერთ მექანიზმად გამოიყენოს გარე ექსპერტის ხარისხის შეფასება, რაც კიდევ უფრო შედეგიანს გახდის აღნიშნულ პროცესს.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- შუალედური და ფინალური ნაშრომების ელექტრონული პორტალი

საქართველოს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგამოცდო სისტემა. შეფასების თანასწორი, სამართლიანი და გამჭვირვალე მიდგომების უზრუნველსაყოფად ლექტორთან მიდის დაშიფრული ნაშრომი და იგი ვერ ხედავს საგამოცდო ნაშრომის ავტორის სახელსა და გვარს. ლექტორებს აქვთ შესაძლებლობა საგამოცდო ნაშრომს თან დაურთონ კომენტარები ელექტრონულ. კერძოდ მიღებული შეფასებების და მასთან დაკავშირებული უკუკავშირი აისახება მართვის Online სისტემაში- „Online UG” ლექტორის მიერ ხდება სასწავლო დებულებით განსაზღვრულ ვადებში.

▪ **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის რეაკრედიტაცია მოხდა 2015 წლის 21 იანვარს. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N11 გადაწყვეტილებით. შესაბამისად პროგრამას დაემატა ასარჩევი კურსები, ასევე მოხდა სასწავლო კურსების და ლიტერატურის განახლება, გადაიხედა სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასებები ქვიზების ინტესივობის ნაწილში და ა.შ.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ფორმულირებული და რეალისტურია, ვინაიდან უნივერსიტეტს გააჩნია მიზნის მიღწევის საკმარისი ადამიანური და ფიზიკური რესურსები. კერძოდ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ბიზნესის მართვის სხვადასხვა ფუნქციონალური მიმართულებებით, რომელიც ორიენტირებულია მენეჯერული უნარ ჩვევებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი სპეციალისტების მომზადებაზე. პროგრამა საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს გამოიმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულს დასაქმდეს, როგორც საშუალო, ასევე ზედა რგოლში ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებში. პროგრამის მიზნები სრულიად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

პროგრამის მიზნების ჩამოყალიბება ნაკარნახევი იყო შრომის ბაზრის კვლევის შედეგებით. უნივერსიტეტმა ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა. კვლევის ფარგლებში ჩატარდა როგორც შრომის ბაზრის წარმომადგენლების გამოკითხვა ანკეტის საშუალებით, ასევე, შეგროვდა მეორადი მონაცემები, რომლის ფარგლებშიც დამუშავდა შრომის ბაზარზე 2018-2019 წლებში საშუალო და მაღალი დონის მენეჯერის პოზიციაზე გამოცხადებული ვაკანსიები და მოთხოვნები. სწორედ ეს კვლევა საფუძვლად უდევს, როგორც პროგრამის მიზნის ფორმირებას, ასევე სწავლის შედეგების ჩამოყალიბებას.

პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები. თუმცა, როგორც გასაუბრებიდან ირკვევა აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების ჩართულობა ძირითადად გამოკითხვებით და სილაბუსის მომზადებით შემოიფარგლებოდა. მოცემული საკითხი 1.2 კომპონენტში არის განხილული.

საქართველოს უნივერსიტეტს გააჩნია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც უნივერსიტეტის მთლიანი სტრატეგიის შემადგენელი კომპონენტია.

ინტერნაციონალიზაციის კუთხით საქართველოს უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მემორანდუმები მრავალ უცხოურ უნივერსიტეტთან. ამ მემორანდუმების ფარგლებში საქართველოს უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს გაცვლით შესაძლებლობებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. საქართველოს უნივერსიტეტი Erasmus Mundus-ის პროგრამას 2013 წლიდან, ხოლო Erasmus+ პროგრამას ევროკავშირის პარტნიორ ორგანიზაციებთან 2015 წლიდან შეუერთდა. საქართველოს უნივერსიტეტი სტუდენტებს, ასევე, სთავაზობს გაცვლით პროგრამას თურქეთში „Mevlana Exchange Program“-ის ფარგლებში და ამავდროულად გაცვლით პროგრამებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან ინდივიდუალური თანამშრომლობის ფარგლებში.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საქართველოს უნივერსიტეტის მისია
 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
 - შრომის ბაზრის კვლევა
 - დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები;
 - საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდი: www.ug.edu.ge.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგები, რომლის განსაზღვრაში, ასევე, გათვალისწინებული იყო შრომის ბაზრის კვლევის შედეგები. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას; პროგრამის ფარგლებში 12 სწავლის შედეგია გაწერილი და შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. მექანიზმის ფარგლებში განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები და შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების რუკა, რომელშიც მოცემულია მიმართება სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსს შორის. სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის მიმართება არის ლოგიკური. თუმცა, სწავლის შედეგების ფორმულირება მოითხოვს დახვეწას და ბლუმის ტაქსონომიასთან დაახლოებას.

პროგრამას სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად პროცედურების აღწერას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება გამოკითხვების საშუალებით. პირველ რიგში, ხდება სწავლის შედეგების შრომის ბაზარზე აქტუალობის გადამოწმება, პრაქტიკოს ლექტორებთან კონსულტაციები, კურსდამთავრებულთა კვლევა. მეორეს მხრივ მოწმდება სწავლის შედეგების მიღწევადობა. ეს გულისხმობს თითოეული სავალდებულო კურსის ფარგლებში სტუდენტების მიერ კურსის გავლის შემდგომ შედეგების დამუშავებას. სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში ხდება სწავლის შედეგების, შეფასებების დამუშავება და ანალიზი, რაც შემდგომ გამოიყენება როგორც ინდივიდუალური სასწავლო კურსის გასაუმჯობესებლად, ასევე, პროგრამის შედეგების დასახვეწად. სწავლის შედეგების შეფასება ხდება, როგორც პირდაპირ, ასევე, არაპირდაპირი მეთოდებით.

სწავლის შედეგების შეფასების ეფექტიანობის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა შედეგების შემუშავების პროცესში, თუმცა როგორც გასაუბრებიდან ირკვევა მათი ჩართულობა იყო სუსტი და საჭიროებს მეტ გაძლიერებას. კერძოდ ნაკლებად იცნობდნენ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის მექანიზმს, პროგრამის სამიზნე ნიშნულებს და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის სამიზნე ნიშნულები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- დამსაქმებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის სწავლის შედეგების მატრიცა;
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდი: www.ug.edu.ge

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია დაინტერესებული მხარეების, კერძოდ დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალისა და კურსდამთავრებულების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართვის გაძლიერება.

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველს სწავლს შედეგების ფორმირების დხვეწა და ბლუმის ტექსონომიასთან დახლუბა.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
--

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტროპროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას. აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (სამაგისტრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე. ამას გარდა უნივერსიტეტში არსებობს წინაპირობებთან დაკავშირებით შიდა რეგულაციები, კერძოდ, ტარდება ინგლისურ ენაზე გამოცდა და ზეპირი გასაუბრება, რომლის წარმატებად გავლის შემდეგ ადმინისტრაციული რეგისტრაციის და ბრძანების საფუძველზე ხდება სტუდენტთა ჩარიცხვა.

ინგლისურის დონის დასადასტურებლად სტუდენტს უღიარდება საერთაშორისო სერტიფიკატები:

- TOEFL IBT – მინიმალური ქულა 80.
- IELTS – მინიმალური ქულა 6.5.
- PTE General – მინიმალური დონე B2.
- FCE – მინიმალური დონე B.
- CPE – საკმარისია ჩაბარება.
- CAE – საკმარისია ჩაბარება.

სტუდენტებს ასევე უღიარდებათ საქართველოს უნივერსიტეტში გავლილი ინგლისურის B2/2 დონე.

სტუდენტებს, რომლებსაც არ გააჩნიათ ინგლისური ენის კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი, საქართველოს უნივერსიტეტი ჩაუტარებს B2 დონის შესაბამის ტესტს, სადაც კომპეტენციის დადასტურებად ჩაითვლება ტესტის 70% -ის გადალახვა. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა გამჭვირვალეა, მათ შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია აბიტურიენტისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან www.ug.edu.ge.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდი: www.ug.edu.ge

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ხარისხის უწყვეტობის ინსტრუქციის მიხედვით, რომლის ერთ-ერთი მუხლი განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შემუშავების მექანიზმს. პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი. აქედან პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების მოდულის მოცულობაა - 72 კრედიტი, ხოლო კვლევითი დისციპლინების მოდულის - 18 კრედიტი. ძირითადი სფეროს სასწავლო კურსებია: ფინანსური აღრიცხვა, მარკეტინგის მენეჯმენტი, მენეჯერული ეკონომიკა, პროექტების მენეჯმენტი, მმართველობითი აღრიცხვა, სტრატეგიული მენეჯმენტი, ბიზნეს კომუნიკაციები, სამაგისტრო ნაშრომი ბიზნესის მართვაში. ხოლო კვლევითი მოდული მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს ბიზნეს სტატისტიკა, კვლევის მეთოდები, აკადემიური წერა და კვლევა. ამ ბლოკიდან მაგისტრანტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს ერთი, ორი ან სამივე საგანი, რომელშიც ის თვლის რომ სჭირდება მეტად გაძლიერება სამაგისტრო ნაშრომის მომზადების მიზნით ან კვლევითი უნარების გაძლიერების მიზნით. პროგრამა ასევე მოიცავს არჩევით დისციპლინების მოდულს, რომელიც წარმოდგენილია საგნების ფართო სპექტრით. არჩევითი დისციპლინების მოდული განისაზღვრება 30 კრედიტით. პროგრამის სტრუქტურის ანალიზიდან ირკვევა, რომ (1) პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს, (2) პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს; (3) პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; (4) პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას თუმცა, სტრუქტურასთან დაკავშირებით გვაქვს მოსაზრება. კერძოდ პროგრამის სავალდებულო მოდული საჭიროებს გაძლიერებას ბიზნესის ადმინისტრირების ისეთი მნიშვნელოვანი სასწავლო კურსებით, როგორცაა: ოპერაციათა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი, კორპორაციათა ფინანსები.

რაც შეეხება დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გასაუბრებიდან ირკვევა, რომ მათი ჩართულობა ძირითადად შემოიფარგლება გამოკითხვებით და აკადემიური პერსონალის შემთხვევაში გამოკითხვებისა და სილაბუსების მომზადებით.

საქართველოს უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;
- სილაბუსები;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ინტერვიუს შედეგები დაინტერესებულ მხარეებთან;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდი: www.ug.edu.ge

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურის პროგრამის სავალდებულო სასწავლო მოდულის გაძლიერება ისეთი სასწავლო კურსების დამატებით როგორცაა: „ოპერაციათა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი“ და „კორპორაციათა ფინანსები“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სილაბუსში მოცემული კომპონენტები იმყოფებიან ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში, რაც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. სილაბუსში მითითებული გამოყენებული ლიტერატურა (ძირითადი და დამატებითი) შესაბამისობაშია კურსის სწავლის შედეგებთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომი. სამაგისტრო ნაშრომის მომზადება განისაზღვრება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქციით და ასევე საბაკალავრო და სამაგისტრო დებულებით. ამ ორი დოკუმენტის ანალიზისას გამოვლინდა შემდეგი სახის უზუსტობები: სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქციაში მოცემულია, რომ „სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 14 000 სიტყვას“ . . . მაშინ როდესაც დებულებაში სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში (მუხლი 34) ვკითხულობთ, „ნაშრომის მოცულობა მაგისტრატურის საფეხურზე შეადგენს 18 000 – 23 000 სიტყვას“. გარდა ამისა, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომის დებულების თანახმად: სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის შესრულების უფლება აქვს თუ მას უკვე შესრულებული აქვს 78 კრედიტი. ხოლო, სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქციის თანახმად: სამაგისტრო ნაშრომი შეიძლება მომზადდეს მხოლოდ სამაგისტრო საფეხურის დამამთავრებელ სემესტრში და სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს შემდეგი სასწავლო კურსები:

- ACCT5110 ფინანსური აღრიცხვა
- MKTG5110 მარკეტინგის მენეჯმენტი
- MGMT6130 პროექტის მენეჯმენტი
- ACCT5210 მმართველობითი აღრიცხვა

ხოლო აღნიშნული კურსებიდან სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს მინიმუმ ერთი კურსი:

- STAT5111 ბიზნეს სტატისტიკა
- BUSN4550 კვლევის მეთოდები
- KART5110 აკადემიური წერა და კვლევა

ვინაიდან წარმოდგენილი სასწავლო კურსების 6 კრედიტიანია, შესაბამისად გამოდის რომ სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობაა 30 კრედიტი და არა 78 კრედიტი როგორც ეს არის მითითებული სამაგისტრო და საბაკალავრო დებულებაში. შესაბამისად, რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა დაზუსტდეს და მოვიდეს შესაბამისობაში სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომის დებულებაში არსებულ ჩანაწერთან.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ● რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა დაზუსტდეს და მოვიდეს შესაბამისობაში სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომის დებულებაში არსებულ ჩანაწერთან; ასევე რეკომენდირებულია გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის მოცულობის შესახებ აღწერაში მითითებული უზუსტობები.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>○</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>თეორიული ცოდნის გარდა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ასევე ორიენტირებული პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. პრაქტიკული კომპეტენციების გამომუშავება ხდება, როგორც ცალკეული კურსის ფარგლებში პროექტებისა და კონკრეტული სიტუაციების შესრულებით. კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება სამაგისტრო ნაშრომის შესრულება. სამაგისტრო პროექტის და ნაშრომის მიზანია,</p>

სტუდენტს განუვითაროს ბიზნეს ადმინისტრირებასთან დაკავშირებული კომპლექსური პრობლემის დამოუკიდებლად განსაზღვრის, უახლესი მეთოდების გამოყენებით კონტექსტის შესწავლის, შეფასებისა და მისი ეფექტური გადაჭრისათვის შესაბამისი რეკომენდაციებისა და ინტერვენციების განსაზღვრის უნარები.

გასაუბრებიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება სემინარები, რაც მათთვის სემინარზე დასწრება და მონაწილეობა წარმოადგენს დამატებით საშუალებას დებატების კულტურის ფორმირებისათვის, სემინარებს უძღვებიან ბიზნესის სფეროს ექსპერტები, ცნობილი სპეციალისტები, სხვადასხვა ბიზნეს-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები.

პრაქტიკული და კვლევითი უნარების გაღრმავების მიზნით საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს „Startup Factory“. „Startup Factory“ მოიცავს თანამედროვე სამუშაო გარემოს, რომელშიც შესაძლებელია 40-მდე ადამიანის განთავსება; Startup Factory” -ს საშუალებით შესაძლებელია ინოვაციური ბიზნეს იდეის განვითარების და შემდგომში დაფინანსება მოძიება. ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა ჩართულია “European Innovation Academy”-ს საზაფხულო პროგრამაში, რომელიც მეწარმული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული.

საქართველოს უნივერსიტეტში პერიოდულად იმართება სტუდენტური კონფერენციები. უნივერსიტეტში მოქმედებს სამეცნიერო ჟურნალი „Caucasus Journal of Social Sciences.“, სადაც სტატიების გამოქვეყნება საქართველოს უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებისთვის უფასოა. უნივერსიტეტში ამოქმედდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ინსტიტუტის საშუალებით გრანტის სახით ფინანსდება სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტების პროექტები, ასევე, მათი მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებსა და სტატიების გამოქვეყნება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტური კლუბების და სერვისების ცენტრის დებულება;
- დასაქმების ხელშეწყობის ანგარიში;
- ინფორმაცია სტუდენტურ პროექტებთან დაკავშირებით
- ჩატარებული სემინარების ანგარიშები;
- საქართველოს უნივერსიტეტის startup-factory-ს აქტივობების ანგარიში
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგები;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების შედეგები;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სწავლების მეთოდების აღწერილობითი ნაწილი შეესაბამება რეალობაში განხორციელებულ მეთოდებს, არის არსებული საფეხურების მიმართ რელევანტური და სრულად უზრუნველყოფს შედეგების მიღებას. პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდი, მათ შორის:

- ლექცია-სემინარი
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი
- ინტერაქტიული ლექციები
- გუნდური მუშაობა
- შემთხვევის შესწავლა და ანალიზი
- სიმულაცია
- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი
- დისკუსიები
- პრეზენტაციების წარდგენა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება
- კრიტიკული ანალიზი
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- ლიტერატურის მიმოხილვა.

თუმცა, პროგრამაში და სილაბუსებში არ არის გამიჯნული სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და აქტივობები საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3 მუხლი 1¹ თ პუნქტის გათვალისწინებით, რაც მეტად გამჭირვალე და მკაფიო იქნება სტუდენტისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები და შიდა შეფასების ფორმები;
- შეხვედრების ანგარიში სამაგისტრო პროგრამის ლექტორებთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;

<ul style="list-style-type: none"> ○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> • სასურველია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს სწავლის მეთოდები და აქტივობები როგორც პროგრამაში, ასევე სილაბუსებში საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3 მუხლი 1¹ თ პუნქტის გათვალისწინებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p> <p>სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.</p> <p>შეფასების სტრუქტურა მრავალკომპონენტანია და მოიცავს მიმდინარე, შუალედურ და დასკვნით შეფასებას. სტუდენტი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, საიდანაც 65 ქულა ეთმობა მიმდინარე და შუალედურ შეფასებას, ხოლო 35 ქულა - დასკვნით გამოცდას. თუმცა, სასწავლო კურსში - „მარკეტინგის მენეჯმენტი“ შუალედურ შეფასებას ეთმობა 60 ქულა, ხოლო დასკვნით გამოცდას 40 ქულა. შუალედურ შეფასებას არ გააჩნია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, თუმცა დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 70%-ს, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებთან მოდის შეუსაბამობაში, კერძოდ მე-3 ბრძანების (მუხლი 4, პუნქტი 3) თანახმად დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს 60%-ზე მეტი. ამასთან, დასკვნითი შეფასების და შუალედური შეფასების მინიმალურმა ზღვარის ჯამმა უმჯობესია სტუდენტს მისცეს</p>

მინიმუმ გადაბარების საშუალება ანუ იყოს 41-51 ქულას შორის. მაღალ ბარიერთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოხატეს როგორც სტუდენტებმა, ასევე კურსდამთავრებულებმაც.

საქართველოს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგამოცდო სისტემა. შეფასების თანასწორი, სამართლიანი და გამჭვირვალე მიდგომების უზრუნველსაყოფად ლექტორთან მიდის დაშიფრული ნაშრომი და იგი ვერ ხედავს საგამოცდო ნაშრომის ავტორის სახელსა და გვარს. ლექტორებს აქვთ შესაძლებლობა საგამოცდო ნაშრომს თან დაურთონ კომენტარები ელექტრონულ პორტალში. საგამოცდო სისტემასთან დაკავშირებით კმაყოფილება გამოხატეს როგორც ლექტორებმა, ასევე სტუდენტებმა.

უკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული შეფასება. გასაუბრების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ჯერ მათ არ დასჭირვებიათ შეფასების გასაჩივრება, თუმცა ინფორმირებულები არიან აღნიშნული პროცედურების შესახებ.

შეფასების სისტემის თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. თუმცა გამონაკლისია პროექტების მენეჯმენტის სასწავლო კურსის სილაბუსი, სადაც არ ჩანს თუ როგორ ფასდება სტუდენტი. ადმინისტრაციის თქმით ეს იყო ტექნიკური ხარვეზი.

სამაგისტრო ნაშრომის ფორმატი ითვალისწინებს ჯგუფურ მუშაობას (არაუმეტეს სამი სტუდენტისა), აღნიშნული ფორმატი ნაკლებად უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდუალურ ობიექტურ შეფასებას. ამ კუთხით შეფასების სისტემა ბუდონოვანია და ჩვენი აზრით არსებული შეფასების სისტემით გართულდება მაგისტრანტის ობიექტური შეფასება, რაც დასტურდება კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროსაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები
- საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია შეფასების სისტემის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებასთან.
- რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომი შეთავაზებული იქნას სტუდენტებისთვის ინდივიდუალურ ფორმატში ან/და მეტად დაიხვეწოს შეფასების სისტემა ჯგუფში შემავალი თითოეული მაგისტრანტის ობიექტური შეფასების მიზნით.

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია ზოგიერთ სილაბუსში არსებული ტექნიკური ხარვეზები აღმოფხვრა
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ შუალედური და ფინალური ნაშრომების ელექტრონული პორტალი
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია როგორც სტუდენტური პორტალის (my.ug.edu.ge) მეშვეობით, აგრეთვე უნივერსიტეტის ვებ-გვერდის, ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და ლექტორებთან საკონსულტაციო შეხვედრების გზით.

სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირის ინდივიდუალურ დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. გასაუბრების დროს საკონსულტაციო საათებთან დაკავშირებით სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება.

უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას. თუმცა, სტუდენტების მხრიდან ჩართულობის დონე დაბალია.

უნივერსიტეტში არსებული პროექტებისა და მობილობის შესაძლებლობების შესახებ სტუდენტები იღებენ ინფორმაციებს სხვადასხვა გზების საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდი: www.ug.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- **სასურველად უნივერსიტეტმა ხელ შეუწყოს სტუდენტების გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში ჩართულობის გაზრდას.**

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას აუცილებელი კონსულტაციებით უზრუნველყოფის მიზნით სტუდენტს/სტუდენტებს ენიშნება ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი ან მოწვეული ლექტორი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია სამაგისტრო ნაშრომის მიმართულებით.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა შეუძლია სტუდენტს როგორც მარტო, ასევე ჯგუფურად (ჯამში 3 ადამიანი). ადმინისტრაციის თქმით, ჯგუფური სამაგისტრო ნაშრომის პროგრამაში დამატება ეფუძნება საქართველოს უნივერსიტეტში არსებულ პრაქტიკას, რაც გულისხმობს საბაკალავრო ნაშრომების წარმატებით დაცვას, რომელზეც 2-3 ადამიანი მუშაობს. (ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია შეთავაზებულია 2.6 კომპონენტში).

თვითშეფასების და ინტერვიუების შედეგების მიხედვით სტუდენტს შეუძლია აირჩიოს კვალიფიციური ხელმძღვანელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები
- სამაგისტრო ნაშრომები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას ახორციელებს 19 აკადემიური პერსონალი, მათ შორის 6 პროფესორი და 13 ასოცირებული პროფესორი. სასწავლო პროცესში ჩართულია 18 მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალის უმრავლესობის აქტიური სამეცნიერო საქმიანობა დასტურდება მათი პირადი საქმეების შესწავლის შედეგად. მოწვეულ პერსონალს გააჩნია კერძო ბიზნესსა თუ საჯარო სექტორში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე, დასტურდება მათი აკადემიური საქმიანობა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. თუმცა, აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი მათგანის პირადი საქმეები საჭიროებს განახლებას. კერძოდ, აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას არ ფიქსირდება უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მათი სამეცნიერო კვლევითი აქტივობები.

უსდ-ს შემუშავებული აქვს სტუდენტებისა და პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც ახორციელებს სასწავლო პროცესის ოპტიმალურ დაგეგმვას.

<p>აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან არის 105%, აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი 7%, ხოლო მოწვეული პერსონალის კი 18.4%-ია.</p> <p>პროგრამას ყავს 3 თანახელმძღვანელი, რომლებიც აკადემიური, ადმინისტრაციული და და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიმართულებების დონეზე ინაწილებენ პასუხისმგებლობას. სამივე მათგანის კომპეტენტურობა დასტურდება მათი პირადი საქმეების შესწავლის შედეგად.</p> <p>პროგრამის განხორცილებაში აქტიურადაა ჩართული 250 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ პროგრამის აღწერა.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ● რეკომენდირებულია რამდენიმე აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის განახლება.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საქართველოს უნივერსიტეტი პერიოდულად აწარმოებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და აკადემიური საქმიანობის მონიტორინგს. სტუდენტების ელექტრონული გამოკითხვის საფუძველზე ხდება ლექტორების საქმიანობის უკუკავშირის მიღება და შესაბამისი რეაგირება. პერსონალი ინფორმირებულია მათი სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერისა და წახალისების შესახებ. უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების დაბეჭდვის, კონფერენციებში მონაწილეობის და სხვა სამეცნიერო აქტივობების როგორც თანადაფინანსებას ასევე სრულ ფინანსურ მხარდაჭერას.

საქართველოს უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მოიცავს სამეცნიერო პროექტების მართვის სამსახურს. ინსტიტუტი უზრუნველყოფს სამეცნიერო ჟურნალის „კავკასიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჟურნალის“ (“Caucasus Journal of Social Sciences”) რედაქციას. საქართველოს უნივერსიტეტს დაწესებული აქვს პრემია იმ პერსონალისათვის, რომელიც გამოაქვეყნებს სტატიას რეფერირებად ჟურნალში, ასევე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აფინანსებს პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობას, სამეცნიერო მივლინებებს და ა.შ.

ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის ფარგლებში პროფესიული განვითარების კუთხით უნივერსიტეტი ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს, კერძოდ: ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა არის CEEMAN-ის ინსტიტუციონალური წევრი საერთაშორისო აკრედიტაციის მიმართულებით. ამ მიმართულებით პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი პერიოდულად ესწრება საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებს. მათ შორის: Program Management Seminar, რომელიც პროგრამის შემუშავებაში და მის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისკენ არის მიმართული. ასევე CEEMAN-ის 25-ე და 26-ე ყოველწლიური კონფერენცია: „მეწარმეობის გააზრება: მზარდ ეკონომიკებში მენეჯმენტის სწავლების გამოწვევები“ და 26-ე ყოველწლიური კონფერენცია: “Redefining Management Education: Excellence and Relevance”. ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროფესიონალთა ვორკშოფი, რომელიც AACSB (Association to Advance Collegiate Schools of Business) საერთაშორისო ასოციაციასის ორგანიზებით ჩატარდა.

უნივერსიტეტი პერიოდულად გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა ტრენინგებს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, ასევე დოქტორანტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და თანდართული დოკუმენტები; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ საქართველოს უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.3 მატერიალური რესურსი</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p> <p>ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლების პროცესისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, აუდიტორიებით, კომპიუტერული კლასებით, საგამოცდო ცენტრით, ბიბლიოთეკით. ბიბლიოთეკა თანამშრომლობს საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებთან. თუმცა სტუდენტები ნაკლები ინტენსივობით იყენებენ საბიბლიოთეკო რესურსებს. ბიბლიოთეკაში დაცულია სილაბუსებში მითითებული, როგორც აუცილებელი, ასევე დამხმარე ლიტერატურის წიგნადი ფონდი.</p> <p>უსდ-ს შექმნილი აქვს სტუდენტთა საგამოცდო ნაშრომების გასწორების ელექტრონული სისტემა, რომელშიც დაშიფრულად აიტვირთება სტუდენტების დასკანერებული ნამუშევრები, რის შემდეგაც ლექტორები კონკრეტული, წინასწარგანსაზღვრული,</p>
--

კრიტერიუმების მიხედვით ასწორებენ საგამოცდო ნამუშევრებს, რის საფუძველზეც დგინდება საერთო შედეგი, რომელიც ელექტრონულად აისახება სტუდენტს პერსონალურ საინფორმაციო პორტალზე. ადმინისტრაციას საშუალება აქვს მეთვალყურეობა გაუწიოს რამდენად გულისხმიერად და ყურადღებით ასწორებს ნამუშევრებს თითოეული ლექტორი. სტუდენტები სარგებლობენ სპეციალურად მათზე მორგებული შიდა საუნივერსიტეტო საინფორმაციო პორტალით, საიდანაც ხდება საგნების არჩევა, საგნის სილაბუსების დათვალიერება და სხვა სასწავლო პროცესის მხარდამჭერი აქტივობები.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
 - უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

პროგრამის ბიუჯეტში დეტალურადაა გაწერილი პროგრამის შემოსავლები და ხარჯები როგორ მიმდინარე ასევე მომავალი სასწავლო წლებისთვის. ბიუჯეტის შესწავლის შედეგად დასტურდება რომ პროგრამის შემოსავლები მიღწევადია და ხარჯები შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- .ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

-
- **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს უნივერსიტეტში შემუშავებულია ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნების გათვალისწინებით ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლას, სადაც ხორციელდება შესამოწმებლად წარმოდგენილი „ბიზნესის ადინისტრირების სამაგისტრო პროგრამა“ შემუშავებული აქვს პროგრამის შემუშავებისა და შეფასების მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც სწავლის შედეგებისა და პროგრამის წარმატების უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება თანმიმდევრული და პერიოდული შეფასება, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით. პროგრამის პირდაპირი ხარისხის შეფასება გულისხმობს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიღწევების გაზომვას და ანალიზს უშუალოდ მათ მიერ გავლილი კურსების ან განხორციელებული კვლევითი თუ პრაქტიკული კომპონენტების შედეგების ანალიზის გზით, ხოლო არაპირდაპირი შეფასების დროს ხორციელდება პროგრამაში ჩართული და დაინტერესებული მხარეების პერსპექტივებიდან პროგრამის კვლევა, მათ შორის არიან აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთა კვლევა ხდება თვისებრივი და რაოდენობრივი ტექნიკების გამოყენებით. კვლევის ფარგლებში ხორციელდება პროგრამის შედეგებთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალის მიერ აღქმული გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, როგორც სწავლების მეთოდების, ლიტერატურის, ისე შესაბამისი კომპეტენციების მუდმივი განახლების მიზნით. აღნიშნული კვლევის შედეგების გათვალისწინებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განახორციელა გარკვეული ცვლილებები შესაფასებლად წარმოდგენილ პროგრამაში, კერძოდ პროგრამის აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შეფასების სისტემა არ იყო მრავალფეროვანი, რადგან საუკეთესო ქულით მხოლოდ 43%-მა შეაფასა არსებული სისტემა. შესაბამისად აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაციით განახლდა წარმოდგენილ სასწავლო კურსების სილაბუსებში არსებული შეფასების სისტემები შემდეგ კომპონენტებში: გაუქმდა ყოველკვირეული ქვიზებით შეფასება, გარკვეულ საგნებში გაიზარდა საპრეზენტაციო, ქვისებზე ან პრაქტიკულ პროექტებზე მუშაობის კომპონენტი, რის შედეგადაც უფრო მეტი ორიენტაცია აღებული იქნა პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. გარდა, ამისა აღნიშნული კვლევის შედეგია, ისიც რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში პროგრამის სტუდენტების (მაგისტრანტების) დატვირთული სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია საკონსულტაციო კვირა დასკვნითი შეფასებების წინა, რაც გარკვეულწილად კიდევ უფრო მოქნილს ხდის აღნიშნულ კომპონენტს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კვლევები ხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ.

გამომდინარე იქედან, რომ სამაგისტრო პროგრამა გათვლილია ორ სასწავლო წელზე (ოთხი სემესტრი), უფრო დროული და ოპერატიული მოქმედებისათვის სასურველი იქნება აღნიშნული ტიპის კვლევები ჩატარდეს ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, რაც მეტ ეფექტიანობას შესძენს აღნიშნულ პროცესს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;
- ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის პირდაპირი და არაპირდაპირი
- ხარისხის შეფასების ინსტრუქცია;
- დაინტერესებული მხარეების კვლევა (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის);
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის სტუდენტებთან და პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვლევები ჩატარდეს ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, რაც მეტ ეფექტიანობას შესძენს აღნიშნულ პროცესს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საქართველოს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია, სადაც წარმოდგენილია პროგრამის შედეგების არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, რომლებიც გარკვეულწილად მოიცავს ხარისხის გარე შეფასების პროცედურებსაც. აღნიშნული მექანიზმი დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას შეაფასოს პროგრამის ეფექტურობა თავიანთი გამოცდილებიდან და პერსპექტივიდან გამომდინარე. პროგრამის შედეგების შეფასების არაპირდაპირი ფორმებია: დამსაქმებლების კითხვარი; კურსდამთავრებულების კითხვარი; პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კითხვარი; კონფერენციები, სამეცნიერო აქტივობა (მაგისტრები); საერთაშორისო პროექტების შედეგების ანალიზი და ბაზრის კვლევა. ამასთან უნივერსიტეტი ხარისხის გარე შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად იყენებს ასევე პროგრამული აკრედიტაციის პროცესს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს გააჩნია კარგი საერთაშორისო კონტაქტები, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განმარტებით უნივერსიტეტში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სხვადასხვა პროგრამებისათვის საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვების კუთხით, პროგრამაში გათვალისწინებულია ანალოგიური პროგრამების განხორციელების სხვადასხვა პრაქტიკები, კარგი იქნებოდა უნივერსიტეტს ხარისხის გარე შეფასების აღნიშნულ ფორმებთან ერთად, დაწესებულებას გამოეყენებინა გარე ექსპერტის ხარისხის შეფასებებიც, რაც კიდევ უფრო შედეგიანს გახდიდა აღნიშნულ პროცესს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;
- ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის პირდაპირი და არაპირდაპირი
- ხარისხის შეფასების ინსტრუქცია;
- დაინტერესებული მხარეების კვლევა (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის);
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის სტუდენტებთან და პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;

რეკომენდაციები:

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია უნივერსიტეტმა ხარისხის გარე შეფასების ერთერთ მექანიზმად გამოიყენოს გარე ექსპერტის ხარისხის შეფასება, რაც კიდევ უფრო შედეგიანს გახდის აღნიშნულ პროცესს.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლას შემუშავებული აქვს პროგრამის შეფასების მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც ხდება არა მხოლოდ პროგრამის შემუშავება, არამედ აღნიშნულ ინსტრუქციაზე დაყრდნობით ხდება პროგრამის მუდმივი გაუმჯობესების დაგეგმვა. ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია მოიცავს როგორც სტუდენტების კმაყოფილების კვლევას, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, შრომის ბაზრის, კურსდამთავრებულების კვლევას. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავებით ხდება საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი, შეფასება და გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა. მაგალითად: პირდაპირ შეფასებაში ჩართული არიან სტუდენტები, რომელთა გამოკითხვა ხდება ყოველი სემესტრის ბოლოს. შესაბამისად, სტუდენტების კმაყოფილების დონის კვლევების შედეგების გათვალისწინებით

დაწყებულია პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურის ელ. ვერსიების სრულად მიწოდების პროცესი, სტუდენტებისათვის შუალედური და დასკვნითი შეფასებების შედეგების ნახვა ლექტორის კომენტარებით უკვე ხელმისაწვდომია ელ.პორტალზე, განახლებულია ლიტერატურა უახლესი გამოცემებით და ა.შ. ასევე, ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებისას, მიმდინარე სემესტრის ლექტორებთან ხდება კომუნიკაცია და ინფორმაციის მიწოდება, თუ რა პრინციპით უნდა იყოს შედგენილი საგამოცდო საკითხები. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს პროგრამის ძირითადი საგნებისთვის საგნის სილაბუსით გათვალისწინებული იმ შედეგების გამომამუშავებელი თემატიკის მაღალი დატვირთვით გამოკითხვას, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის შედეგებში. სასწავლო სემესტრის დასრულების შემდგომ კი პროგრამის შედეგების შეფასების კომისია პროგრამის ძირითადი საგნებიდან შემთხვევითი შერჩევით იღებს ფინალური გამოცდების 5-10%-ს სტუდენტების რაოდენობის მიხედვით (საგანში 100 საგამოცდო ნაშრომზე მეტის შემთხვევაში, პროცენტი განისაზღვრება 5%-ით) და ხდება სტუდენტების მიერ საგამოცდო საკითხებში მიღებული შეფასებების ანალიზი. ყურადღება მახვილდება იმ საგამოცდო საკითხებზე, რომლებიც ამოწმებს საგნის იმ კომპონენტებს, რაც მონაწილეობს პროგრამის შედეგებში. ხდება სტატისტიკური მაჩვენებლების გამოთვლა, თუ სტუდენტების რამდენი პროცენტი რა პროცენტულ შეფასებას იღებს (საკითხისთვის მინიჭებული მაქსიმალური ქულიდან) აღნიშნულ კონკრეტულ საკითხში. პერიოდულად ტარდება ასევე შრომის ბაზრის კვლევა. წარმოდგენილი მასალების მიხედვით ჩატარდა, როგორც შრომის ბაზრის წარმომადგენლების ანკეტირებული გამოკითხვა, ასევე მეორადი კვლევა, რომლის ფარგლებშიც დამუშავდა შრომის ბაზარზე 2018-2019 წლებში საშუალო და მაღალი დონის მენეჯერის პოზიციაზე გამოცხადებული ვაკანსიები და მოთხოვნები. შესაბამისად, მაგალითად; მარკეტინგის მიმართულებით ვაკანტურ პოზიციებში რადგანაც ხშირად ფიგურირებდა სტრატეგიული მარკეტინგული კომუნიკაციების პოზიციები სწორედ ამიტომ, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსი მარკეტინგულ კომუნიკაციებში. ასევე, ვაკანტური პოზიციების კვლევისას გამოვლინდა, რომ პროექტების მართვის უნარები თითქმის ყველა მიმართულების პოზიციით მოითხოვება და ამასთანავე, აღნიშნული მიმართულებით მრავლად არის ვაკანსიები. შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების კვლევაზე დაყრდნობით პროექტის მენეჯმენტი გახდა პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსი და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;

- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;
- ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის პირდაპირი და არაპირდაპირი
- ხარისხის შეფასების ინსტრუქცია;
- დაინტერესებული მხარეების კვლევა (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის, შრომის ბაზრის);
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირების
სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 34

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა


დავით სიხარულიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ვასილ კიკუტაძე



დავით ქარცივაძე



ანა მიხელიძე

